

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ლიანა კობესაშვილი **წევრ(ებ)ი:** ეთერ მეტრეველი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	223364204

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ახალქალაქი. სოფელი პტენი**
ფაქტობრივი მისამართი	**ახალქალაქი. სოფელი პტენი**
საფოსტო ინდექსი	**3055**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	პტენის სკოლის გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	pteni@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**577 59 08 69**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 03/11/2025 წლის ბრძანება MES 5 25 0001487526
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	25,26 ნოემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლას (ს/კ:223364204) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (MES 7 23 0001650744. 05/12/2023 წ.) ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმით (MES 9 23 0001647272) საბჭომ შუამდგომლობით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. მონიტორინგის დაწყების პერიოდი განისაზღვრა 2025 წლის ნოემბრიდან, ხოლო მონიტორინგის განხორციელების ფორმად დადგინდა ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სკოლაში განხორციელდა 2025 წლის 25 და 26 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 5 25 0001487526 ბრძანების საფუძველზე. გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა)“, „გ)“ და „დ)“ სტანდარტების შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ჩატარდა ინტერვიუირება სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, ინტერვიუირებამ საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით. ვიზიტის ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის სამივე სტანდარტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს,

დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, შეაფასა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები, რჩევები და ხარვეზები დეტალურადაა აღწერილი დასკვნაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
60	33

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ხარვეზებს კონკრეტულ ინდიკატორებთან მიმართებაში. არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისობს უზრუნველყოფის გეგმა და ასეე თანადართული მტკიცებულებები . ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ,

ინდიკატორი N.3.1.1.1.სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც სკოლის ორგანიგრამაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ასახის ვადად განსაზღვრა პერიოდი 2026 წლის 16-25 იანვარი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი 3.1.2.3.

სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმით სკოლაში დასაქმებული (მასწავლებლისა და სამედიცინო პერსონალის გარდა) თანამშრომლების შერჩევისა და დასაქმების პროცედურის გაწერისა და დასაქმებულთა პირად საქმეებში სხადასხვა კატეგორიის ნასამართლობის ცნობების(ნასამართლობის, სქესობრივი თაისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ) სრულად წარმოდგენის ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 12 დეკემბრიდან 2026 წლის 25 თებერლამდე. სკოლის არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი 3.2.1.2. სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით პერსონალის საჭიროებათა შესახებ მონაცემთა შეგროვება და პრიორიტეტების შესაბამისად პერსონალის მხარდაჭერის გეგმის შესადგენად განსაზღვრა 12.12.2025 წლიდან 27.12.2025 წლამდე პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, აღნიშნულ ვადაში შესაძლებელია დადგინდეს პერსონალის საჭროებები (მცირერიცხოვან პერსონალის გამო) და შედგეს შესაბამისი განვითარების გეგმა

რეკომენდაცია. სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში (12.12.2025-27.12.2025 წ) უზრუნელყოს პერსონალის შესახებ მონაცემების მოპოვება და პრიორიტეტების გამოყოფა. პერსონალის მხარდაჭერის გეგმის შემუშავება და განხორციელება.

ინდიკატორი 3.3.1.1.სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სკოლის რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანისა და ამოქმედების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 12 დეკემბრიდან 2026 წლის 28 მაისამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებთ „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

N**3.4.1.1.** ინდიკატორი. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო სშსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA2 25 04085922 რომლითაც დასტურდება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანახმება. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება “არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი 3.4.1.2. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლაში ექთნის დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კანონმდებლობით გათალისწინებული წესით განხორციელებული შერჩევის / დასაქმების მტკიცებულება ოქმი და გაფორმებული ხელშეკრულება. ასევე სკოლამ წარმოადგინა შენობის რეკონსტრუქციის გეგმა და ექიმის/ექთნის კაბინეტის მოსაწყობად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 12 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე. ექსპერტთა ჯგფუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი 3.4.1.3. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო 2025 წლის 8 დეკემბრის ბრძანება N01/84 მრჩეველთა საბჭოს განსაზღრის შესახებ, ხოლო ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამართვის ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 12 დეკემბრიდან 2026 წლის 15 სექტემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებისთ მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი 3.4.1.8. სკოლამ 2025 წლის 8 დეკემბრის ბრძანებით N01/84 განსაზღვრა მრჩეველთა საბჭო და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქცონირების პერიოდულ შეფასების ამოქმედების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 8 დეკემბერი - 2026 წლის 15 სექტემბერი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი 3.5.1.1. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 15 დეკემბრიდან 2026 წლის 15 სექტემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვლა შეფასებით „ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი 3.5.1.3.სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვის და დამუშავების ფოტო მასალა. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი 3.6.2.1.სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით საქმისწარმოების პრაქტიკა და სკოლის საქმისწაროების წესის შესაბამისობაში მოყვანის ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 8 დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი 3.6.3.5. სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ვებგვერდზე მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოქვეყნების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 8 დეკემბრიდან 2025 წლის 15 დეკემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

4.1.1.1.სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით სკოლის შენობაში რესურს ოთახისათვის სივრცის გამოყოფისა და თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 9 დეკემბრიდან 2026 წლის 14 ოქტომბრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება**

ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2026 წლის 16-25 იანვრის პერიოდში უზრუნველყოს სკოლის ორგანიგრამაში მოსწავლეთა თვითმმართველობის დამატება
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია. შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წლის 12 დეკემბერი- 2026 წლის 25 თებერვალი) უზრუნველყოს დასაქმებული (მასწავლებლისა და სამედიცინო პერსონალის გარდა)

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	თანამშრომლების შერჩევისა და დასაქმების პროცედურის გაწერა და დასაქმებულთა პირად საქმეებში სხადასხვა კატეგორიის ნასამართლობის ცნობების (ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ) სრულად წარმოდგენა (2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულთა შემთხვევაში).
ინდიკატორი N**3.2.1.2.**	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	გაიცა რეკომენდაცია. შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში (12.12.2025-27.12.2025 წ) უზრუნველყოს პერსონალის შესახებ მონაცემების მოპოვება და პრიორიტეტების გამოყოფა. პერსონალის მხარდაჭერის გეგმის შემუშავება და განხორციელება.
ინდიკატორი N**3.3.1.1.**	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	გაიცა რეკომენდაცია. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადაში (2025 წლის 12 დეკემბერი - 2026 წლის 28 მაისი) სკოლამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნელყოფის პოლიტიკის სკოლის რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა და ამოქმედება
ინდიკატორი N**3.4.1.2.**	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	გაიცა რეკომენდაცია. სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნვველყოფის გეგმით გაწერილ ვადებში (12-25 დეკემბერი, 2025 წ) უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტისთვის სივრცის მოწყობა.
ინდიკატორი N**3.4.1.3.**	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წ.12 დეკემბერი-2026 წლის 15 სექტემბერი) ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის სრულად გამართვა და ფუნქციონირება.

ინდიკატორი N3.4.1.8.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (8.12.2025-15.09.2026 წ) უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმის ეფექტიანად ამოქმედება.
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წლის 15 დეკემბრიდან 2026 წლის 15 სექტემბერი) უზრუნველყოს სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა.
ინდიკატორი N3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (2025 წლის 8-15 დეკემბერი) უზრუნველყოს აქმისწარმოების არსებული პრაქტიკის საქმისწარმოების წესთან შესაბამისობაში მოყვანა.
ინდიკატორი N3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან	სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (2025 წლის 8-15 დეკემბერი) უზრუნველყოს ვებგვერდზე მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოქვეყნება

	დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წლის 9 დეკემბერი 2026 წლის 14 ოქტომბერი) უზრუნელყოს სივრცის გამოყოფა რესურსოთახისათვის და ჩაატაროს მოსწავლეთა თვითმმართელობის არჩევნები

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს ყველა პროცესის სისტემური დოკუმენტირება და მტკიცებულებების შენახვა, რათა შესაძლებელი იყოს განხორციელებული ქმედებების და მიღწეული შედეგების დადასტურება.
ინდიკატორი N1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების	**სასურველია** მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანების („საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო

	პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“) მუხლი 6, რომელიც სტრატეგიული და ყოველწლიური სამოქმედო გეგმების დამტკიცების პროცესთან დაკავშირებით ადგენს ვალდებულებას, რომ სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები დამტკიცებულ იქნას სამეურვეო საბჭოს მიერ.
ინდიკატორი N1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	სასურელია სკოლამ მოახდინოს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირების დოკუმენტირება მისთვის სასურველი ფორმით, რათა ახალ გეგმაზე მუშაობის პროცესში მოხდეს მისი ეფექტურად გამოყენება
ინდიკატორი N1.2.2.3.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა	სამოქმედო გეგმის ანგარიში განათავსოს სკოლის ვებგვერდზეც.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.6.1.1.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.
ინდიკატორი N3.6.3.3.	საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი	სასურელია სკოლამ პრაქტიკაში უფრო აქტიურად გამოიყენოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის არსებული მექანიზმები, რათა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული

	საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად	უკუკავშირის სისტემატიზაცია, ანალიზი და მასზე შესაბამისი რეაგირება.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.2.2.2.	სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით	სასურველია სკოლამ მოახდინოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება, აღნიშნული საქმიანობის გაწერა კონკრეტულ მექანიზმებად (იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სასურველია სკოლამ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გაწეროს კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეფასების შედეგების გამოყენებას დაგეგმვის პროცესში.
ინდიკატორი N4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებას ახდენს სსიპ - მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრი/ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი და არა მულტიდისციპლინური გუნდი და შესაბამისად განაახლოს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია	**შესრულების სტატუსი**
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ უზრუნველყოს სტანდარტთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) გეგმის ფარგლებში, 11.10.2023-დან 11.10.2024-მდე, წარმოადგინოს: ა. დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ; ბ. დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ; გ. შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; დ. სკოლის ეზოს შემოღობვა; ე. კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის კონკურსის წესით დასაქმება	ა.დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ მოპოვებულია ბ. დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მოპოვებულია გ. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული შესაბამის ორგანოსთან დ. სკოლის ეზო შემოღობილია ე. სკოლამ დაასაქმა ექთანი
2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ უზრუნველყოს სტანდარტთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) გეგმის ფარგლებში, 11.10.2023-დან 11.10.2024-მდე, მოაწყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია. სკოლამ უზრუნველყოს სტანდარტთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) გეგმის	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია არ არის მოწყობილი ხელოვნურსაფარიანი

		ფარგლებში, 11.10.2023-დან 11.10.2024-მდე, მოაწყოს ხელოვნურსაფარიანი გარე სპორტულ მოედანი.	გარე სპორტული მოედანი არ არის მოწყობილი

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლის მისია - ქვეყნის ინტერესებიდან, ტრადიციებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე აღზარდოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის, ღია სამოქალაქო საზოგადოების, კონკურენტუნარიანობის პრინციპებზე დაფუძნებული მოსწავლე–ახალგაზრდობა, რომლებიც იქნებიან ტოლერანტული თვისებების მატარებელი, ფიზიკურად და ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდები, შეეძლებათ საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა - შესაბამისობაშია ეროვნული მიზნების იმ პრინციპებთან, რომლებიც მოითხოვს მოსწავლის პიროვნული, სოციალური და სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას, კრიტიკული აზროვნებისა და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას. სკოლის ხედვით, დაწესებულება წარმოადგენს უსაფრთხო და დაცულ გარემოს, სადაც ყველა მოსწავლეს სასწავლო პროცესში ჩართულობისა და ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა აქვს. განათლება განიხილება როგორც მოსწავლეების, მათი ოჯახების, სკოლის პერსონალისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების გაზიარებული პასუხისმგებლობა. ამრიგად, სკოლის ხედვა და მისია სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს და ემსახურება მათი პრაქტიკაში განხორციელებას.

ინდიკატორის დაკმაყოფილებულია

2.**სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლის მისია და ხედვა განსაზღვრავს სკოლის როლს უსაფრთხო, პოზიტიურ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული გარემოს შექმნაში. მისია განსაზღვრავს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უსაფრთხო და მხარდამჭერ გარემოს, თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. სკოლა, მისიის განაცხადის მიხედვით, ემსახურება ისეთი მოქალაქეების აღზრდას, რომლებიც ტოლერანტობას, ეროვნულ და გლობალურ ღირებულებებს, პასუხისმგებლობასა და სოციალურ ჩართულობას იზიარებენ - რაც პირდაპირ უკავშირდება უსაფრთხო, სოციო-კულტურულად მდგრადი გარემოს შექმნას. სკოლის ხედვა კი უზრუნველყოფს უსაფრთხო

და ორგანიზებულ გარემოს, სადაც განათლება განისაზღვრება სკოლასა და ოჯახებს შორის გაზიარებული პასუხისმგებლობად. თანაბარი შესაძლებლობებისა და ყველა მოსწავლის განვითარების პოტენციალის აღიარება კი განამტკიცებს ინკლუზიურ და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ პრაქტიკას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლის განცხადება (2025 წლის 5 სექტემბერი), სკოლის ფილოსოფიის ცვლილების ინიცირებასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდებოდა განათლების პოლიტიკის ცვლილებას საბაზო საფეხურზე მე-10 კლასის დამატებასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ მოახდინა რეაგირება და 29 სექტემბერს შექმნა სკოლის ფილოსოფიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა სკოლის SWOT ანალიზის, სკოლის ფლოსოფიის, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტების შემუშავება 09/10/2025 მდე. სკოლის მისის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მისია და ხედვა გაზიარებულია მათ მიერ. მშობლებმა და მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი მათ პირისპირ შეხვედრაზე გააცნეს, სადაც მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავისუფლად გამოეხატათ საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები. მშობლების განცხადებით, ისინი განხილვის პროცესში აქტურად იყვნენ ჩართულნი და მათთვის მნიშვნელოვანი იყო სკოლის როლი მოსწავლეებში ქვეყნის ინტერესებისა და ტრადიციული ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში. ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლის მისია და ხედვა არა მხოლოდ მიეწოდათ, არამედ რეალურად იქნა განხილული და გაზიარებული.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია უზრუნველყოს ყველა პროცესის სისტემური დოკუმენტირება და მტკიცებულებების შენახვა, რათა შესაძლებელი იყოს განხორციელებული ქმედებების და მიღწეული შედეგების დადასტურება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და საზოგადოების ინფორმირებულობას სკოლის საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და მიზნების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება სსიპ -ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლა ასახავს სკოლის სამართლებრივ სტატუსს და შეესაბამება კანონმდებლობით (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ) დადგენლ ტერმინს „სკოლა“

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ფიოლოსოფიის შემუშავების დოკუმენტი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ბრძანება სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული და 06/11/2025 წლის MES 9 25 0001548892 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების სისტემურ მექანიზმებს. მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია: სამუშაო ჯგუფის მიერ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება, შემუშავებული პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და თემისთვის, მიღებული უკუკავშირის განხილვა. აღნიშნული პროცედურები ცხადყოფს, რომ სკოლა მზადაა გაითვალისწინიოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები, უზრუნველყოს პროცესის გამჭვირვალობა. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ. ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელმაც შეიმუშავა აღნიშნული მეთოდოლოგია. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი არის მოვალეობის შემსრულებელი, მის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება არ ჩაითვლება დარღვევად თუმცა, არჩეული დირექტორის შემთხვევაში, სტრატეგიული და ყოველწლიური სამოქმედო გეგმები უნდა დამტკიცდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანების („საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“) მე-6 მუხლის შესაბამისად. აღნიშნული მუხლი ავალდებულებს არჩეულ დირექტორს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს: სკოლის განვითარების სტრატეგია, სკოლის ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცედურის ასახვა, რათა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების პროცესი იყოს თანმიმდევრული, კანონმდებლობასთან შესაბამისი და ყველა შესაძლო სიტუაციას ითვალისწინებდეს.

სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანების („საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“) მუხლი 6, რომელიც სტრატეგიული და

ყოველწლიური სამოქმედო გეგმების დამტკიცების პროცესთან დაკავშირებით ადგენს ვალდებულებას, რომ სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები დამტკიცებულ იქნას სამეურვეო საბჭოს მიერ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას შემუშვებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული გეგმის შვიდწლიან და ციკლურ ხასიათს. მეთოდოლოგიით დადგენილი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება 7 წელიწადში ერთხელ, ხოლო ახალი ციკლი იწყება მიმდინარე გეგმის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ექვსი თვით ადრე, უზრუნველყოფს პროცესის ციკლურობას და უწყვეტობას. სტრატეგიული გეგმაში განსაზღვრული მიზნები და ამოცანები ემსახურება სკოლის, როგორც განვითარებაზე, უსაფრთხო გარემოზე და გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებზე ორიენტირებულ ორგანიზაციის ფილოსოფიის რეალიზებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.**სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს გრძელვადიან მიზნებს, პრიორიტეტებს და სასწავლო პროცესის მიმართულებებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**
სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, მიზნების შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს ამოცანების შესრულებას, აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, შესრულების პერიოდი, საჭირო რესურსი და შესრულების ინდიკატორი/მტკიცებულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 06/11/2025წლის ბრძანება N 63.მისიის, ხედვის ,ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე.
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ - მოქმედი პერიოდის შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის შეფასება განხორციელდება წელიწადში ორჯერ - იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში. როგორც სტრატეგიულ, ისე სამოქმედო გეგმას აფასებს სამუშაო ჯგუფი. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე შეფასების ინსტრუმენტები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლას შემუშავებულიი აქვს 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში, თუმცა მის შეფასებაში სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა. მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ნამდვილად ახდენს მათთან შესრულებული საქმიანობის ანგარიშგებას და ისმენს შესაბამის რეკომენდაციებს, რომელსაც ითვალისწინებს მომდევნო წლის ერთწლიან გეგმაში გამომდინარე ზემოთთქმულიდან **სკოლას**

მიეცა რჩევა სასურელია მოახდინოს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირების დოკუმენტირება მისთვის სასურველი ფორმით, რათა ახალ გეგმაზე მუშაობის პროცესში მოხდეს მისი ეფექტურად გამოყენება .
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც ასევე სკოლის საინფორმაციო სტენდზე არის გამოკრული, რაც მის საჯაროობას უზრუნველყოფს.
სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმის ანგარიში განათავსოს სკოლის ვებგვერდზეც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ნამდვილად ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს ახალი სამოქმედო გეგმის შედგენისას. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის მოსწავლეებში მოტივაციის გასაზრდელად, სკოლამ გასული სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით დაამკვიდრა საუკეთესო მოსწავლეთა წახალისების პრაქტიკა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- ბრძანება მოსწავლეთა დაჯილდოების (წახალისების) შესახებ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურის ვიზუალური გამოსახულება და საშტატო განრიგი. სკოლის ორგანიგრამა გამოსახავს პოზიციების ვერტიკალურ ურთერთმიმართებას. დოკუმენტის მიხედვით, სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: სკოლის სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიურ საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. საშტატო განრიგში დაზუსტებულია დასაქმებულთა რაოდენობა პოზიციების მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას განსაზღვრული აქვს კათედრების დებულება და დამრიგებლების მუშაობის პრინციპები, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც. სკოლაში ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულები საკუთარ უფლება-მოვალეობებს იცნობენ და ასრულებენ.

ხარვეზი. სკოლის მიერ წარმოდგენილ ვიზუალურ გამოსახულებაში (ორგანიგრამაში) არ არის ასახული მოსწავლეთა თვითმმართველობა

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც სკოლის ორგანიგრამაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ასახვის ვადად განსაზღვრა პერიოდი 2026 წლის 16-25 იანვარი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“

სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2026 წლის 16-25 იანვრის პერიოდში უზრუნველყოს სკოლის ორგანიგრამაში მოსწავლეთა თვითმმართველობის დამატება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ არის გადაფარვა და სრულად მოიცავს იმ არეალს, რაც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ იციან დასაქმებულთა ფუნქციები და შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში სწორად განსაზღვრავენ მიმართვის ადრესატს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ორგანიგრამა;
- საშტატო განრიგი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ბრძანება სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრის შესახებ;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმა/

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის სრული ციკლი, მათ შორის: პერსონალის მოზიდვა და შერჩევა, ახალი მასწავლებლის ადაპტაცია/სოციალიზაცია, შესრულებული საქმიანობის შეფასება, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, მოტივაციის მექანიზმები და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პროცედურები. სკოლასთან გასაუბრებისა და ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველზე დადგინდა, რომ ახალი პედაგოგების მიღება ხორციელდება კონკურსის გზით, teacherjobs.ge პლატფორმაზე ვაკანსიის გამოცხადებით. სკოლა მასწავლებელთა კონკურსის გამოცხადებისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“. სკოლის შინაგანაწესი დეტალურად არეგულირებს სამუშაო პროცედურებს, მათ შორის: სამუშაო კვირისა და სამუშაო დღის ხანგრძლივობას; დასვენებისა და შესვენების დროზე დაკავშირებულ წესებს; შრომის ანაზღაურების გაცემის დროსა და წესს; ანაზღაურებადი შვებულების მიცემის წესებს; შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვას; წახალისებისა და პასუხისმგებლობის ზომებსა და გამოყენების წესებს; მატერიალურ პასუხისმგებლობას; განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურებს; სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ზოგად ნორმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები. იმისათვის, რომ სკოლაში ახლად დასაქმებულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე, აცნობიერებს დასაქმებულთა უწყვეტი განვითარების მნიშვნელობას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად და აწვდის მათ ინფორმაციას არსებული ტრენინგებისა და ვებინარების შესახებ. სკოლას მასწავლებლები ჩართული ჰყავდა ლიდერ მასწავლებელთა პროგრამაში და ხელს უწყობდა ქოუჩინგის პროცესს, რომელსაც წარმართავდა ლიდერი მასწავლებელი. სკოლას აქვს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შექმნის და მუშაობის პრაქტიკა დაწყებით კლასებში. სკოლაში შემუშავებულია მასწავლებელთა მიღების, გათავისუფლებისა და წახალისების გამჭვირვალე სისტემა, რაც ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი სკოლის სრულფასოვან წევრებად გრძნობენ თავს და მათ წარმატებით გაიარეს სოციალიზაცია. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით ასევე დადგინდა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელი აცდენს გაკვეთილს მისი ჩანაცვლება ხდება იმავე საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას შემუშებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (2025 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება N51), რომელშიც კანონმდებლობის შესაბამისად აღწერილია მასწავლებლების დასაქმების პროცედურა, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი კადრის შერჩევასა

და მოზიდვას. თუმცა, როგორც აღნიშნულ დოკუმენტში, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვა დოკუმენტაციაში, არ იკვეთება პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს მასწავლებლისაგან და სამედიცინო პერსონალისგან განსხვავებულ პოზიციაზე დასაქმებულის შერჩევისა და დასაქმების წესს. დირექტორის მ/შ-სთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში სხვა კატეგორიის თანამშრომლები (არა მასწავლებლები) ინიშნებიან მისი უშუალო გადაწყვეტილებით, აპლიკანტთან გამართული გასაუბრების საფუძველზე. სკოლაში სულ დასაქმებულია 24 ადამიანი: 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, დირექტორის მ/შ და 16 მასწავლებელი. მათ შორის 1 წამყვანი, 1 მაძიებელი, 15 უფროსი და 2 მოწვეული. კანონმდებლობის შესაბამისად პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებს საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი და დირექტორის მ/შ. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა და ექთნის შერჩევის საკონკურსო მასალები, რომელთა შესწავლითაც დადგინადა, რომ აღნიშნული კადრების შერჩევის პროცედურებმა უზრუნველყო სკოლაში შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

დასაქმებულთა პირადი საქმეების შესწავლისას, გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევაში პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ხარვეზი. ა. სკოლას არ აქვს ჩამოყალიბებული და დოკუმენტურად გაწერილი სკოლაში დასაქმებული (მასწავლებლისა და სამედიცინო პერსონალის გარდა) თანამშრომლების შერჩევისა და დასაქმების პროცედურა.

ბ.ზოგიერთი დასაქმებულის პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი თაისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ

სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმით სკოლაში დასაქმებული (მასწავლებლისა და სამედიცინო პერსონალის გარდა) თანამშრომლების შერჩევისა და დასაქმების პროცედურის გაწერისა და დასაქმებულთა პირად საქმეებში სხვადასხვა კატეგორიის ნასამართლობის ცნობების(ნასამართლობის, სქესობრივი თაისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ) სრულად წარმოდგენის ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 12 დეკემბრიდან 2026 წლის 25 თებერვლამდე. სკოლის არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

სკოლას მიეცა რეკომენდაცია. შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წლის 12 დეკემბერი- 2026 წლის 25 თებერვალი) უზრუნველყოს დასაქმებული (მასწავლებლისა და სამედიცინო პერსონალის გარდა) თანამშრომლების შერჩევისა და დასაქმების პროცედურის გაწერა და დასაქმებულთა პირად საქმეებში სხვადასხვა კატეგორიის ნასამართლობის ცნობების (ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ) სრულად წარმოდგენა (2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულთა შემთხვევაში).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

დაწესებულებას, 2025 წლის 8 ოქტომბერის N50 ბრძანებით შემუშავებული აქვს დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სადაც აღწერილია მასწავლებლის, დირექტორის მოადგილის, სპეციალური მასწავლებლის, შემცვლელი და მოწვეული მასწავლებლის, მაძიებელი მასწავლებლის, ბუღალტერის, ფსიქოლოგის, ექიმის, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, საქმისმწარმოებელის, დამლაგებლის, დარაჯის, საინფორმაციო მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პირადი საქმეების გადამოწმებით და მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის ღირებულებებში დეკლარირებულია, რომ გუნდურობა და თანამშრომლობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს. აღნიშნული ასახულია როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ დოკუმენტებში. SWOT ანალიზში სკოლას ძლიერ მხარედ იდენტიფიცირებული აქვს თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასწავლო გარემო, სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანებს კი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ზრდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება. გადაწყვეტილებები სკოლაში მიიღება გუნდურად, რაც დასტურდება სტრუქტურული ერთეულების და სპეციალური კომისიების მუშაობის ოქმებით. სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოკვეთილია თანამშრომლობითი პრაქტიკა, რასაც ხელს უწყობს დისციპლინური კომიტეტის, კათედრების, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების აქტიური ფუნქციონირება. ვიზიტის პერიოდში სკოლამ/კოლექტივმა დაადასტურა, რომ გუნდურობა ნამდვილად წარმოადგენს მის ძლიერ მხარეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლა წარმატებული გამოცდილების აღიარებას აკავშირებს დასაქმებულის მოტივაციასთან და შესაბამისად მოტივაციის ამაღლების მიზნით იყენებს წახალისების ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება,

ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებები პრემიისა და ტექნიკური პერსონალის (ერთჯერადი) ფულადი ჯილდოს შესახებ, მადლობის სიგელები, რომლებიც ინახება მასწავლებელთა პირად საქმეებში. სკოლის პედაგოგიური საზოგადოება აცნობიერებს წარმატების აღიარების მნიშვნელოვნებას სკოლის ეფექტიანობისა და სასკოლო საზოგადოების მხარდჭერისა და განვითარებისათვის. წარმატებული გამოცდილების გაზიარებისთვის სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს, აწყობს კოლეგებთან შეხვედრებს. სკოლის ფოიეში თვალსაჩონოდაა განთავსებული წარმატების აღიარების სიგელები და დიპლომები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ღირებულებები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- ბრძანებები პრემიის და ტექნიკური პერსონალის (ერთჯერადი) ფულადი ჯილდოს შესახებ;
- მადლობის სიგელები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს დასაქმებულთა მიერ შესრულებული სამუშოს შეფასების ეტაპები და პრინციპები. მათ შორის, 360 გრადუსიანი შეფასება; შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; თვითშეფასება; გასაუბრება და სხვა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლას წარმოდგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ამ საჭიროებებზე დაფუძნებული განვითარების გეგმის შემუშავებას. თუმცა, დირექტორთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ არ ხორციელდება პერსონალის საჭიროებების სისტემური შეფასება, შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭროებების იდენტიფიცირება და იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე დაფუძნებით განვთარების გეგმის შემუშავება/განხორციელება.

ხარვეზი: **სკოლა არ ახდენს თავისივე რეგულაციით გაწერილი მექანიზმების მიხედვით პერსონალის საჭიროების იდენტიფიცირებას და იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე დაფუძნებით განვთარების გეგმის შემუშავება/განხორციელებას.**

სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით პერსონალის საჭიროებათა შესახებ მონაცემთა შეგროვება და პრიორიტეტების შესაბამისად პერსონალის მხარდაჭერის გეგმის შესადგენად განსაზღვრა 12.12.2025 წლიდან 27.12.2025 წლამდე პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, აღნიშნულ ვადაში შესაძლებელია დადგინდეს პერსონალის საჭროებები (მცირერიცხოვან პერსონალის გამო) და შედგეს შესაბამისი განვითარების გეგმა

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში (12.12.2025-27.12.2025 წ) უზრუნველყოს პერსონალის შესახებ მონაცემების მოპოვება და პრიორიტეტების გამოყოფა. პერსონალის მხარდაჭერის გეგმის შემუშავება და განხორციელება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერულ ზრდას. სკოლაში დასაქმებულია მაძიებელი მასწავლებელი, სკოლამ მას ბრძანებით განუსაზღვრა ტუტორი, რომელიც წარმატებით ახრციელებს მხარდაჭერას. სკოლა მასწავლებლებს სისტემატურად რთავს ვებინარებსა და სასწავლო პროგრამებში. სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართულები ლიდერ მასწავლებელთა პროგრამაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას აქვს დამტკიცებული პერსონალის ადაპტაციის წესი. გარდა ამისა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრული აქვს ახალი თანამშრომლის/დასაქმებულის სოციალიზაცია. სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ადაპტაციას, რაც მოიცავს წინასამუშაო მოლოდინების ჩამოყალიბებას, სამთვიან ფორმალურ და არაფორმალურ სოციალიზაციას და გუნდის სრულუფლებიან წევრად ინტეგრაციას. სკოლა მიზანმიმართულად იყენებს სხვადასხვა პროცედურას, რაც ახალ თანამშრომელს მუშაობის პროცესში სწრაფად და ეფექტურად ჩართავას უზრუნველყოფს. 2023 წლის 15 სექტემბრის შემდეგ სკოლაში დასაქმებულია 5 ახალი პედაგოგი. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ სკოლამ ისინი წარუდგინა კოლექტივს, გააცნო მათ სკოლის ორგანიზაციული კულტურა, სკოლის შიდამარეგულირებელი აქტები, დაამატა ისინი სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესითა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესების მიხედვით, სკოლა იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს მასწავლებლების მონაწილეობას სხვადასხვა ორგანიზაციისა და ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კონკურსებში, ტრენინგებსა და კონფერენციებში, ასევე შეხვედრებში, ფორუმებსა და გამოფენებში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ნამდვლად უწყობს ხელს დასაქმებულების ინიციატივას მიიღონ მონაწილეობა რეგიონის მასშტაბით გამართულ საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ტუტორის დანიშვნის ბრძანება;
- პერსონალის ადაპტაციის წესი;
- შინაგანაწესი;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის მიხედვით, ყველა ძირითადი პროცესი ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შეფასდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ, ხოლო დანარჩენი პროცესების შეფასება ხორციელდება შერჩევის პრინციპით, შეფასების კითხვარის საფუძველზე, რომელსაც ავსებენ პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული

ერთეულები ან პირები. მიუხედავად დოკუმენტში ჩამოყალიბებული წესების არსებობისა სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული შეფასებების განხორციელების მტკიცებულებები. წარმოდეგნილი იქნა მხოლოდ ერთწლიანი გეგმის განხორციელების ანგარიში. ზემოთქმულიდან გამომდინარე სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა არ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და არ ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. გარდა ამისა, წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი საჭიროებს სკოლის რეალურ სტრუქტურასა და მოქმედ პრაქტიკაზე მორგებას, რათა მკაფიოდ აისახოს ვინ, როგორ და რა პერიოდულობით ახორციელებს თითოეული პროცესის შეფასებას. ამრიგად, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფორმალურად არსებობს, პრაქტიკაში მისი კომპონენტების განხორციელება და მონიტორინგი ვერ დასტურდება.

ხარვეზი.

ა.საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა არ ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და არ ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.

ბ.ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი არ არის მორგებული სკოლის რეალურ სტრუქტურასა და არსებულ პრაქტიკას.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სკოლის რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანისა და ამოქმედების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 12 დეკემბრიდან 2026 წლის 28 მაისამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებთ „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

გაიცა რეკომენდაცია. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადაში (2025 წლის 12 დეკემბერი- 2026 წლის 28 მაისი) სკოლამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სკოლის რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა და ამოქმედება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით სკოლაში პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა. ძირითად

პროცესებში შედის კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. დამხმარე პროცესებში შედის მოსწავლეთა სერვისების განხორციელება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსის მართვა, საბიბლიოთეკო სერვისის განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

ყველა ბრძანება რომელიც გამოიცემა სკოლაში აქტის სახით, მოიცავს გასაჩივრების ადგილსა და დროს, შრომით ხელშეკრულებებში განსაზღვრულია დავის გადაწყვეტის პირობები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით სკოლაში მასწავლებლად დასაქმების შემთხვევაში სკოლაში იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის გადაწყვეტილებაც შესაძლებელია გასაჩივრებულ იქნას. კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით, იქმნება საპრეტენზიო კომისია. სკოლაში 2025 წლის 26 სექტემბერს N35 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი“, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მხრიდან სასკოლო საზოგადოების კანონით დადგენილი უფლებების სავარაუდო დარღვევის გასაჩივრების წესებსა და პროცედურებს. დოკუმენტში გაწერილია როგორც პერსონალის მხრიდან უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმი, ასევე მოსწავლისა და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჩივრის წარმოდგენის პროცედურა, მათ შორის შემოსული საჩივრების განხილვის ვადები, პასუხისმგებელი სტრუქტურები და გადაწყვეტილების მიღების ფორმატი. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში არ ყოფილა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან რაიმე ტიპის საჩივარი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომლებიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში, ასევე ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი. სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები. ამავე დოკუმენტში გაწერილია დისციპლინური

გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. დისციპლინური დევნა ეყრდნობა კანონმდებლობის მოთხოვნებს. დისციპლინური კომიტეტის წევრებთან გასაუბრებით, დადგინდა, რომ რაიმე ტიპის კანონიერი უფლების დარღვევა არ დაფიქსირებულა სკოლაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (N46, 03/10/2025წ);
- მოსწავლის, პერსონალის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა (N35, 26/09/2025 წ)
- სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმები დისციპლინური კომიტეტის წევრების არჩევის შესახებ;
- შინაგანაწესი;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, უზრუნველყოფს სკოლის ცნობადობის ამაღლებას და აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს, ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას გაუმჯობესების მიზნით. სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, ვებგვერდს, სოციალურ ქსელს და სკოლის საინფორმაციო დაფას. ზრუნავს შექმნას პოზიტიური სივრცე თანამშრომლებთან, მშობლებთან, თემთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის მიზნით. სკოლაში ტარდება თემთან შეხვედრები სხვადასხვა აქტუალურ საკითებზე (მაგ.მიმდინარე სასწავლო წელს გაიმართა შეხვედრა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, სადაც სკოლამ თემის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია ეკოლოგიურ პრობლემების გამომწვევ საკითხებთან დაკავშირებით). სკოლამ წარმოადგინა მკითხველთა კლუბის მიერ კლუბის მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების გამოკითხვის ფურცლები სადაც დახურულ შეკითხვებთან ერთად იყო ღია

კითხვები, რაც რესპოდენტებს საშუალებას აძლევდა დაეფიქსირებინათ საკუთარი დამოკიდებულება სკოლის მიმართ. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, რომელზეც სკოლა აქვეყნებს სკოლის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსა და საჭირო ინფორმაციას. სკოლა აქტიურად იყენებს ფეისბუქ გვერდს ინფორმაციის განსათავსებლად. მშობელთან კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცნობა-მიწოდება. სკოლას აქვს გააქტიურებული ვებ-გვერდი პორტალზე, რომელზეც განთავსებულია სკოლის რეგულაციები. სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის გაზიარება და უკუკავშირის მიღება ასევე ხორციელდება კათედრების, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში მოქმედებს კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. აღნიშნული კოლეგიალური ორგანოები კანონმდებლობის შესაბამისად ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში. პედაგოგიურ საბჭოში გაწევრიანებულია ყველა პედაგოგი, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრების დაგეგმვასა და წარმართვაში, რასაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა: სკოლის ბიუჯეტის, შინაგანაწესის, სასკოლო კურიკულუმის განხილა/დამტკიცება და სხვა. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა პედაგოგიურ საბჭოს და სამეურვეო საბჭოს ოქმები, რომლებიც ადასტურებდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალური ორგანოების მუშაობაში. მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ ნამდვილად აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოში (სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების გამოკითხვის ფურცლები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი "ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება" (28/09/2025 წ, ბრძანება N36(ა)), რომლის თანახმადაც სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია. სკოლას განსაზღვრული ჰყავს უფლებამოსილი პირი და სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა სკოლის შენობაში. სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა N5002706324 (13/05/2024 წ) რომლის თანახმადაც სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. არსებული მდგომარეობით შენობის ექსპლოატაცია არ არის საფრთხის შემცველი. კვლევვით ნაწილში მითითებული დეფექტები საჭიროა დროულად იქნას აღმოფხვრილი.
სკოლის 2025 წლის 3 სექტემბრის N2844055 განცხადების საფუძველზე განხორციელდა სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის შენობა-ნაგებობის, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება

სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. დოკუმენტში მოცემულია ის აქტივობები რომელიც უნდა განახორციელოს სკოლამ. აღნიშნული მიმართულებით სკოლას დაწყებული აქვს მუშაობა. კერძოდ, სკოლამ უზრუნველყო ცეცხლმაქრების გადამუხტვა, განსაზღვრა სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. დირექტორის განმარტებით ეტაპობრივად განახორციელებს რეკომენდაციების შესრულებას. სკოლას შემოვლებული აქვს კაპიტალური რკინის ღობე, რითაც სკოლა გამიჯნულია მოსახლეობისა და სამანქანო გზისგან, დაცულია გარეშე საფრთხეებისაგან.

ხარვეზი: **სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო სმსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA2 25 04085922 რომლითაც დასტურდება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანახმება. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება "არ არის დაკმაყოფილებული" შეცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია"

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში 2025 წლის 10 სექტემბრის N56 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების წესი, სკოლა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად აღჭურვილია სამედიცინო ინვენტარით. თუმცა არ აქვს ოთახი, რომელშიც განთავსდება სამედიცინო კაბინეტი. სკოლამ შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის დასაქმების მიზნით არაერთხელ გამოაცხადა კონკურსი teacherjobs.ge-ზე, თუმცა ყველა ეტაპზე კონკურსი ჩაიშალა, ვინაიდან არავინ იღებდა მონაწილეობას. 2025 წლის 26 სექტემბერს, სკოლამ ექიმის პოზიციაზე ექთნის დასაქმების საკითხთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად წერილობით მიმართა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. სკოლა აკმაყოფილებს 2022 წლის 21 მარტს დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" დანართი N 1.2 -ში გაწერილ სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის სარეკომენდაციო რაოდენობათა თანაფარდობას. შესაბამისად განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან სკოლამ მიიღო თანხმობა სკოლის ექიმის პოზიციაზე, დროებით, ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმებასთან დაკავშირებით. სკოლა გეგმავს გამოაცხადოს ვაკანსია სკოლის ექთნის პოზიციაზე.

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლიდან 70-90 მეტრის დაშორებით მდებარეობს სოფლის სამედიცინო პუნქტი, ექთნის შერჩევამდე/დასაქმებამდე სკოლა სარგებლობს სოფლის ექიმის/ექთნის მომსახურებით.

ხარვეზი. სკოლას არ ჰყავს ექთანი დასაქმებული განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის შესაბამისად. სკოლას არ აქვს სამედიცინო კაბინეტისთვის სივრცე განსაზღვრული.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლაში ექთნის დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კანონმდებლობით გათალისწინებული წესით განხორციელებული შერჩევის / დასაქმების მტკიცებულება ოქმი და გაფორმებული ხელშეკრულება. ასევე სკოლამ წარმოადგინა შენობის რეკონსტრუქციის გეგმა და ექიმის/ექთნის კაბინეტის მოსაწყობად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 12 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე. ექსპერტთა ჯგფუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

გაიცა რეკომენდაცია. სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადებში (12-25 დეკემბერი, 2025 წ) უზრუნველყოს სამედცინო კაბინეტისთვის სივრცის მოწყობა.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლას აქვს დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერები როგორც სკოლის შენობის შიდა ნაწილში, ასევე გარე პერიმეტრზე. სკოლას ვიდეომონიტორინგისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობა არ აქვს დამონტაჟებული და არ აქვს გამოყოფილი შესაბამისი სივრცე, სადაც სკოლის დირექტორის მიერ განსაზღრული და შესაბამისი სამსახურის მიერ გადამზადებული უფლებამოსილი პირი შეძლებს ვიდეომონიტორინგის სისტემის გამართულად მართვას პერსონალურ მონაცემთა დაცვით. სკოლას ასევე არ ჰყავს განსაზღვრული მრჩეველთა საბჭო. შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ვერ ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის დერეფნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ მორიგე მასწავლებლები.

ხარვეზი: სკოლა ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. არ ჰყავს მრჩეველთა საბჭო, არ აქვს დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო 2025 წლის 8 დეკემბრის ბრძანება N01/84 მრჩეველთა საბჭოს განსაზღვრის შესახებ, ხოლო ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამართვის ვადად განსაზღვრა პერიოდი - 2025 წლის 12 დეკემბრიდან 2026 წლის 15 სექტემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წ.12 დეკემბერი-2026 წლის 15 სექტემბერი) ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის სრულად გამართვა და ფუნქციონირება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის არსებობას. სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა აქტიურად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს და ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, რომელთა მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. გარდა ამისა, სკოლაში ხორციელდება პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს მეგობრული და ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამები, რომელშიც გაწერილია სხვადასხვა ტიპის აქტივობები ტოლერანტობის, ბულინგის, კიბერბულინგის საკითხებთან მიმართებით. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები სკოლაში პოზიტიური განწყობით მოდიან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია ტექნიკური პერსონალი (ორი დამლაგებელი), რომლებიც საგაკვეთილო პროცესის დროს და მისი დამთავრების შემდეგ სისტემატიურად ზრუნავენ ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე. დამლაგებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, ბიუჯეტში გაწერილია თანხა ჰიგიენური საშუალებების შესყიდვისათვის. სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შენობის სანიტარული მდგომარეობა და სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი. გადამოწმების შედეგად, სკოლის მთელ ტერიტორიაზე დაცული იყო ჰიგიენური პირობები, ყველა სველი წერტილი აღჭურვილი იყო საჭირო ჰიგიენური საშუალებებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ გვერდზე pdps.ge ასახულია ინფორმაცია სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი/განსაზღვრული პირის შესახებ. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება დაცულ, ჩაკეტილ ცეცხლგამძლე კარადაში. მშობლებმა, ექპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას, აღნიშნეს რომ სკოლა მათი თანხმობის გარეშე არ აზიარებს მათი შვილ(ებ)ის პერონალურ მონაცემებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ინფორმაცია მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების შესახებ. დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვისა და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. ასევე, სკოლა იცავს ელექტრონული ინფორმაციის წვდომასა და დაზიანებას არაავტორიზებული მომხმარებლისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ინტერნეტს, ნებისმიერი გამოყენებული პროგრამა ან ვებგვერდი არის ლიცენზირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში არ ფუნქცონირებს მრჩეველთა საბჭო, სკოლამ ვერ წარმოადგინა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ხარვეზი: სკოლა არ ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმებს ფუნქცონირების პერიოდულ შეფასებას.

სკოლამ 2025 წლის 8 დეკემბრის ბრძანებით N01/84 განსაზღვრა მრჩეველთა საბჭო და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქცონირების პერიოდულ შეფასების ამოქმედების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 8 დეკემბერი - 2026 წლის 15 სექტემბერი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

სკოლას მიეცა რეკომენდაცია. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღრულ ვადაში (8.12.2025-15.09.2026 წ) უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმის ეფექტიანად ამოქმედება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა;
- დასკვნა სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შესახებ;
- სამედიცინო დახმარების წესი (**N56 10/09/2025);**
- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- საკონკურსო კომისიის ოქმები (ექიმის);
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სშსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA2 25 04085922;
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება და კომისიის ოქმი;
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს განსაზღვრის შესახებ;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 4851 კ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N01/1 საერთო ფართით 661,8 კვ.მ N02/1 და N02/1 ეს უკანასკნელი სკოლის დირექტორის განმარტებით არის სკოლის ძველი შენობა რომლის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს. აღნიშნული შენობა არ მდებარეობს სკოლის მიერ შემოღობილ ტერიტორიაზე. სკოლა არის ერთსართულიანი, სკოლაში არის 9 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, დამატებით 1 ოთახი და ბიბლიოთეკა. სველი წერტილები ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის, ასევე ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას აქვს შემოღობილი ეზო. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. სკოლას აქვს მოწყობილი პანდუსი. სამასწავლებლო აღჭურვილია მაგიდებით, კარადებით, განთავსებულია 3 კომპიუტერი და 3 პრინტერის აპარატი. სკოლაში არის 18 კომპიუტერი/ლეპტოპი, 3 პროექტორი, საბიბლიოთეკო სივრცეში განთავსებული 3 პერსონალური კომპიუტერი. სკოლაში არის Wifi-ის სისტემა, რომელიც ფარავს შენობის მთლიან პერიმეტრს. სკოლის ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კლასი ერთ სივრცეშია განთავსებული. სკოლას, ქალაქ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიამ, დროებით სარგებლობაში გადასცა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სოფელ პტენაში მდებარე კლუბის შენობა (ფართი 252 კვ.მ) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად. შენობა მდებარეობს სკოლის შენობიდან 40-50 მეტრში. არ საჭროებს ტრანსპორტირებას. სკოლის ფოიეში განთვსებულია მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო აღჭურვილობა.

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და შესაბამისი აღჭურვილობა, თუმცა სკოლამ 2025 წლის სექტემბერში საკუთარი ხარჯებით, შეიძინა ვირტუალური ლაბორატორია, რომელიც ჩატვირთულია სკოლის 3 კომპიუტერში (ლეპტოპში) და მოიცავს ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის სწავლებისათვის გარკვეული პრაქტიკული სამუშაოების ვიზუალიზაციას.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და შესაბამისი აღჭურვილობა

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 15 დეკემბრიდან 2026 წლის 15 სექტემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვლა შეფასებით „ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წლის 15 დეკემბრიდან 2026 წლის 15 სექტემბერი) **უზრუნველყოს სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობის დათვალიერებისა და სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს უზრუნველყოფილი აქვს სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების გამოყენების შესაძლებლობა. სპორტული, ინტელექტუალური და კულტურული ღონისძიებების ჩატარებისას მოსწავლეები სრულად სარგებლობენ სკოლის ქონებითა და მათთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები და სხვა შესაბამისი რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობასა და პროცესის მრავალფეროვნებას. სკოლაში მოწყობილია კომფორტული და სათანადოდ აღჭურვილია სამასწავლებლო სივრცე, სადაც მასწავლებლებისთვის შექმნილია მშვიდ გარემოში მუშაობისა და პროფესიული საქმიანობის ეფექტურად განხორციელების პირობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და მოქმედებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დებულება), სადაც დეტალურად არის გაწერილი ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, წიგნების გაცემის პროცედურები და რესურსების უსაფრთხო გამოყენება. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. ბიბლიოთეკაში არ არის წიგნები აღრიცხული და სრულად დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით.

ხარვეზი: ბიბლიოთეკაში არ არის წიგნები აღრიცხული და სრულად დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვის და დამუშავების ფოტო მასალა. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს: სკოლას აქვს პანდუსი, რომლითაც უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლის შემოსვლა შენობაში. სკოლაში არის ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

დირექტორთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან და პედაგოგებთან გასაუბრების, სოციალური ქსელის და სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და მასალების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში რეგულარულად იმართება საინფორმაციო შეხვედრები თემის წარმომადგენლებთან, რაც აძლიერებს სკოლის კავშირს საზოგადოებასთან და ადასტურებს მის სოციოკულტურულ როლს. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული და შემეცნებითი აქტივობები. ამისთვის სკოლას გააჩნია შესაბამისი ფიზიკური გარემო. სკოლაში წარმოდგენილია: ფართო ფოიე და სკოლის ეზო, რომელიც გამოიყენება საერთო და კულტურული აქტივობებისათვის; ბიბლიოთეკა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა კითხვის კულტურის განვითარებასა და ცოდნის გაფართოებას. აღნიშნული ინფრასტრუქტურა ქმნის ღია, ხელმისაწვდომ და მრავალფუნქციურ საგანმანათლებლო სივრცეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება) 2025 წლის 26 სექტემბრის N34 ბრძანებით დამტკიცებული;
- კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები;
- ვირტუალური საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მიღება-ჩაბარების აქტი და ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შედგება სამასწავლებლოში განთავსებული 3 კომპიუტერისა და 3 პრინტერის აპარატისგან, 18 ლეპტოპის, 3 პროექტორისა და საბიბლიოთეკო სივრცეში განთავსებული 3 პერსონალური კომპიუტერისგან, რომელებიც პარალელურად გამოიყენება ისტ-ის გაკვეთილებისთვის. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ინდივიდუალურ სარგებლობაში გადაცემული აქვთ ბუკები. კომპიუტერული ტექნიკის პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომელიც

ფარავს შენობის მთლიან პერიმეტრს. მის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. საინვენტარო აღწერილობის აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის დირექციასთან, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში, სადაც განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები, ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. საგაკვეთილო პროცესში, ღონისძიებების, სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას და ფილმების ჩვენებისთვის მასწავლებლები აქტიურად იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას: პროექტორებს, ლეპტოპებს და პრინტერს. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, ისინი იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას ტექსტის მოძიების და ელექტრონული რესურსის შექმნისათვის. გარდა ამისა, I-IV კლასის მოსწავლეები აღჭურვილები არიან პორტაბელური კომპიუტერებით, რომელსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტები მშობლებთან;
- კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტები მასწავლებლებთან;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილი ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს ბრძანებების რეგისტრაციის და აღრიცხვის წესს. აღნიშნული ბრძანების თანახმად: ა) დირექტორის გადაწყვეტილებებს საერთო საქმიანობაზე გამოცემული ბრძანებებს ენიჭება კოდი 01; გამოიყოფა დახრილი ხაზით და მიეთითება სარეგისტრაციო ჟურნალში ბრძანებების რეგისტრაციის მიხედვით კალენდარული წლის განმავლობაში რიგითი ნომერი; ბ) დირექტორის გადაწყვეტილებებს პირადი შემადგენლობის ბრძანებებს ენიჭება კოდი 02; გამოიყოფა დახრილი ხაზით და მიეთითება სარეგისტრაციო ჟურნალში ბრძანებების რეგისტრაციის მიხედვით კალენდარული წლის განმავლობაში რიგითი ნომერი. ვიზიტისას გამოვლინდა, რომ სკოლა არ ატარებს ბრძანებების აღრიცხვას საქმისწარმოების წესის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო შემუშავებულ ბრძანებებში არ არის მითითებული შესაბამისი კოდი (01 ან 02). დირექციასთან, დასაქმებულებსა და მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, თუმცა სკოლა არ აწარმოებს მათ აღრიცხვას სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში.

ხარვეზი: სკოლაში საქმისწარმოება არ მიმდინარეობს სკოლის მერ შემუშავებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად. ბრძანებები და ხელშეკრულებები არაა აღრიცხული საქმისწარმოების წესის მოთხოვნათა დაცვით, ბრძანებების კოდები 01 და 02 არ გამოიყენება ბრძანებების გადანომვრისას.

სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით საქმისწარმოების პრაქტიკა და სკოლის საქმისწაროების წესის შესაბამისობაში მოყვანის ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 8 დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (2025 წლის 8-15 დეკემბერი) უზრუნველყოს საქმისწარმოების არსებული პრაქტიკის საქმისწარმოების წესთან შესაბამისობაში მოყვანა.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას **eFlow**, სადაც ხორციელდება გამოცემული ბრძანებების განთავსება და ოფიციალური მიმოწერა. ასევე გამოიყენება სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა. pteni@mes.gov.ge. გარდა ამისა, სკოლას პლატფორმა **Teams**-ში შექმნილი აქვს ჯგუფები, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფილია კომუნიკაცია მასწავლებლებს, ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან. eSchool-ს სისტემის მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. eSchool-ის ბაზაში არის ასევე ასახული სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება ბმულზე registration.emis.ge სკოლას ასევე აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის მიმდინარეობისას განიხილულ იქნა სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დადგინდა, რომ სკოლის ბარათზე სრულად ასახულია სკოლის შესახებ საჭირო მონაცემები. ასევე სრულყოფილად არის წარმოდგენილი ინფორმაცია პედაგოგთა შესახებ და ატვირთულია შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახდენს რეაგირებას შემოსულ კორესპოდენციაზე. დაწესებულების მიერ გაგზავნილი კორესპონდენციების გადამოწმებისას დგინდება, რომ გაგზავნილი კორესპონდენცია დროულად მიეწოდება შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებს, რაც უზრუნველყოფს აქტიურ თანამშრომლობასა და უკუკავშირს. სკოლა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს. გარდა ამისა, სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

პტენის საჯარო სკოლას შექმნილი აქვს ოფიციალური პროფილი პლატფორმაზე: https://skolebi.emis.ge/. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, რაც უზრუნველყოფს მის საკომუნიკაციო საშუალებად გამოყენებას. დამატებით, სკოლა საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, ასევე, სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფა უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების დროულად გავრცელებას. მშობლებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან საკომუნიკაციოდ სკოლა იყენებს ასევე მესენჯერსა და სატელეფონო საუბრებს. ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. სასკოლო სიახლები, ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის იყენებს როგორც ვებგვერდს ასევე სოციალურ ქსელს. სკოლას ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პირი. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებების შესახებ არის სანდო, რამდენადაც ასახავს სკოლაში რეალურად მიმდინარე პროცესებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი (2025 წლის 26 სექტემბრის ბრძანება N31) და სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი (2025 წლის 26 ნოემბრის ბრძანება N82). მათი ვალდებულება მოიცავს სასკოლო საზოგადოებიდან მიღებული უკუკავშირის ანალიზს და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას პასუხისმგებელ პირებისათვის შემდგომი რეაგირების მიზნით. მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, მასალის გამოქვეყნებამდე ითვალისწინებს მათ ინტერესებს. სკოლის დირექტორთან და მშობლებთან ინტერვიუთი კი დადგინდა, რომ სკოლაში მშობელთა და დაინტერესებულ პირთა მხრიდან უკუკავშირი ძირითადად ხორციელდება ზეპირი ფორმით, რასაც სკოლა განიხილავს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვის მხოლოდ ერთი პრეცედენტი.

სკოლას მიეცა რჩევა, პრაქტიკაში უფრო აქტიურად გამოიყენოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის არსებული მექანიზმები, რათა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის სისტემატიზაცია, ანალიზი და მასზე შესაბამისი რეაგირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას გააჩნია ოფიციალური ვებგვერდი skolebi.emis.ge-ზე, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სასკოლო საქმიანობის შესახებ. სკოლაში სწავლება ქართულ ენაზეა, შესაბამისად, ვებგვერდზე ინფორმაცია წარმოდგენილია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა**

მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას აქვს ვებ გვერდი, აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, შინაგანაწესი, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, სკოლის სტრუქტურა, სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა და ფინანსური დოკუმენტი. განსაზღვრულია პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რაოდენობა, მათ შორის სსსმ მოსწავლის რიცხოვნება. ვებ გვერდი გვაძლევს საშუალებას დაზუსტდეს ინფორმაცია თავისუფალი ადგილების შესახებ. სკოლას ვებგვერდზე არ აქვს გამოქვეყნებული მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

ხარვეზი: სკოლას ვებგვერდზე არ აქვს გამოქვეყნებული მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ვებგვერდზე მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოქვეყნების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 8 დეკემბრიდან 2025 წლის 15 დეკემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (2025 წლის 8-15 დეკემბერი) უზრუნველყოს ვებგვერდზე მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოქვეყნება

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პტენის სკოლის გვერდი
- სკოლის სოციალური გვერდი;

- ბრძანება საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას ჩამოყალიბებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემა. შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას. სკოლას მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, ფინანსური რესურსები მიზნობრივად და ეფექტიანად ნაწილდება როგორც სახელფასო ფონდის დაფინანსებისთვის, ისე საგანმანათლებლო და საოპერაციო საჭიროებების უზრუნველსაყოფად. ბიუჯეტი მოიცავს ხელფასების, კომუნალური გადასახადების, საკანცელარიო რესურსების, ჰიგიენური და დეზინფექციის საშუალებების შესყიდვას, რაც უზრუნველყოფს სასკოლო გარემოს უწყვეტ და ხარისხიან ფუნქციონირებას. სკოლა სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმას ტვვირთავს **Eplan** მოდულში. საჭიროების შემთხვევაში, შესყიდვების წლიური გეგმა კორექტირდება არსებული მოთხოვნებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი ყოველწლიურად განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. ფინანსური წლის დასრულებისას მზადდება დეტალური ანგარიშგება, რომელსაც სკოლის დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და რომელშიც ასახულია სკოლაში შემოსული და გახარჯული ფინანსური რესურსები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N32 (18/11/2025 წ) სახელმწიფო შესყიდვვების წლიური გეგმის დამტკიების შესახებ;
- ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის სამსახურეობრივი ბარათი;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი;
- ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სამეურეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სკოლის ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- [x] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ადმინისტრირების მექანიზმის ხელშეწყობას მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით. დოკუმენტის ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა უფლებების დაცვის ეფექტური კონტროლი და პრევენცია, სკოლის ხელშეწყობა. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომის სახეები, სახდელები, დისციპლინური სახდელის შეფარდების, მოხსნისა და დისციპლინური სამართალწარმოების ვადები. შინაგანაწესში გაწერილია როგორც დისციპლინური საქმისწარმოება, ასევე გვხვდება ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. წახალისების ფორმებად სკოლას დადგენილი აქვს: მადლობის გამოცხადება, სიგელით ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. სკოლას დამტკიცებული აქვს "ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი", დანიშნულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიას. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მისი მონიტორიგის მექანიზმები, რომელიც აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ ინფორმაციათა სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღრულია საშემოდგომო და სემესტრული გამოცდების ორგანიზების პრინციპები. ყველა აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ისინი განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. ვიზიტის დროს

სკოლას არ ჰქონდა განსაზღვრული სივრცე რესურსოთახისთვის მსგავსი ინფრასტრუქტურის არარსებობა ქმნის საფრთხეს, რომ სსსმ მოსწავლის შესაძლო ჩარიცხვის შემთხვევაში, შეიძლება შეიზღუდოს მისი უფლებების სრულფასოვანი განხორციელება, რაც ეწინააღმდეგება მოსწავლის ინტერესთა დაცვასა და მხარდაჭერას. ასევე, ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თვითმმართველობა, არ იყო ჩატარებული შესაბამისი წესით განსაზღვრული მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები. რაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (კანონი ზოგადი განათლების შესახებ) წარმოადგენს მოსწავლეთა უფლებების შეზღუდვას.

ხარვეზი. ა.სკოლას არ აქვს სივრცე გამოყოფილი რესურსოთახის მოსაწყობად რაც ქმნის რისკს სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში მის უფლებების შეზღუდვასთნ მიმართებით.

ბ.სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰყადა მოსწავლეთა თვითმმართელობა, არ იყო ჩატარებული არჩევნები.

.სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით სკოლის შენობაში რესურს ოთახისათვის სივრცის გამოყოფისა და თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 9 დეკემბრიდან 2026 წლის 14 ოქტომბრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნვველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2025 წლის 9 დეკემბერი 2026 წლის 14 ოქტომბერი) უზრუნელყოს სივრცის გამოყოფა რესურსოთახისათვის და ჩაატაროს მოსწავლეთა თითმმართელობის არჩევნები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ან/და სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში, პირველივე მშობელთა კრებაზე აცნობენ მშობლებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციებს. მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუთი დადასტურდა, რომ ისინი იცნობენ სკოლაში არსებულ სკოლის შინაგანაწესითა და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მათ უფლებებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის ყველა მოსწავლის მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ეროვნული სასწავლო გეგმთ განსაზღვრული საგანმანათლებლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებებში კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლებამოვალეობები, მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენება, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამატებითი პირობები. გარდა აღნიშნულისა გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლითაც რეგულირდება სახელმძღვანელოების და ბუკების უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის საკითხები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რეფერირებაზე უფლებამისილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება N81 (26.11.2025 წ);
- ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- 2025 წლის 26 სექტემბრის N35 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფს გეგმა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებისა და პროცედურების მექანიზმი (28/09/2025 წლის ბრძანება N37), რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. დოკუმენტი მოიცავს მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენისა და მობილობის წესებსა და პროცედურებს. თითოეული მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებელ მხარეებს, საჭირო დოკუმენტაციასა და ვადებს.

წესში მკაფიოდაა განსაზღვრული: პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის საკანონმდებლო მოთხოვნები, რეგისტრაციის ვადები და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ სკოლაში წარსადგენი საბუთების სია; უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩარიცხვის პროცედურები; მობილობის განხორციელების პირობები, შეზღუდვები და საჭირო დოკუმენტები; სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის კანონმდებლობით განსაზღვრული წესები, მათ შორის პრევენციული ღონისძიებები და სოციალური მუშაკის ჩართულობა;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. პირველ კლასში ჩარიცხვის ბრძანებებითა და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge) რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ 4 ეტაპად, მოსწავლეთა მობილობა ხორციელდება კანონმდებლობის დაცვით მოსწავლეთა პირად საქმეებში შეტანილი იყო მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის თარიღისა და საფუძველის შესახებ ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში და სკოლის შინაგანაწესში. შინაგანაწესი

განთავსებულია სკოლს ვებგვერდზე, სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. გარდა აღნიშნულისა დამრიგებლების მიერ ხდება მშობლებისა და მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება როგორც სკოლის მარეგულირებელ ნორმებზე, ასევე წლის განმავლობაში გამოცხადებული ან/და სკოლის მიერ ორგანიზებული კონკურსების, ოლიმპიადების და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. ინფორმაციაზე ხელმისაწდომობა დაადასტურეს ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა და მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს როგორც ოფიციალურ ვებგვერდს, ასევე სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდს. აღნიშნული არხებით რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლის ინიციატივების, პროექტებისა და საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ანალიზით დადგინდა, რომ ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებული მასალები შეიცავენ სანდო, დროულად განახლებულ და ობიექტურ ინფორმაციას. სკოლის მიერ დირექტორის 26/11/2025 წლის N82 ბრძანებით განსაზღვრულია სკოლაში სოციალური მედიის (facebook) ადმინისტრირებაზე და ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მართვის გამჭვირვალე, ორგანიზებულ და სამართლებრივად დასაბუთებულ პროცესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის ბრძანებები;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- ბრძანება ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;

- 26/11/2025 წლის N82 ბრძანება სკოლაში სოციალური მედიის (facebook) ადმინისტრირებაზე უფლებამოსილ პირის განსაზღვრის შესახებ;

- შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას გააჩნია მოსწავლეთა ადაპტაციის მკაფიო მექანიზმი (სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 სექტემბრის N 45 ბრძანება), რომელიც მოიცავს პირველკლასელებისა და მობილობით გადმოსული მოსწავლეების, ასევე სსსმ მოსწავლეების ხელშეწყობის პროცედურებს. დოკუმენტი განსაზღვრავს ადაპტაციის პრინციპებს, მასწავლებლის, მშობლის და მოსწავლის თანამშრომლობის ფორმებს. ახალი მოსწავლის სკოლის გარემოსთან ადაპტაციის პროცესში ჩართულია კლასის დამრიგებელი, რომელიც მოსწავლეს აცნობს სასკოლო გარემოს, აწვდის ინფორმაციას გარემოში სხვადასხვა სივრცის შესახებ, აცნობს შინაგანაწესს, სკოლის მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოებს და ესაუბრება მის ფუნქცია მოვალეობებსა და უფლებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართულნი როგორც სკოლაში მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის, ასევე პირველკლასელთა ტრანზიციის პროცესში. ისინი უზრუნველყოფენ მოსწავლისთვის სასკოლო გარემოს გაცნობას რაც გულისხმობს საკლასო ოთახების, ბიბლიოთეკის, სკოლის ინფრასტრუქტურის, ქცევის წესების, შინაგანაწესის და სხვა შესაბამისი რეგულაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

მოსწავლეებთან, მშობლებთან და დამრიგებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები ფაქტობრივად ამოქმედებულია და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას ადაპტაციის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.**მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა მიზანმიმართულად ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, მათ შორის: მოსწავლის თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი უკუკავშირი. აღნიშნული მეთოდები ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესს და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის დებულება (24/11/2025 წლის ბრძანება N71 MES 9 25 0001669410), რომელიც მიზნად ისახავს რემედიაციის პროცესში ჩართული ნებისმიერი მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის უზრუნველყოფას. მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სწავლაში სირთულის მქონე მოსწავლეების მხარდაჭერას. როგორც მშობლებმა, ისე თვით მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებლები აქტიურად ახორციელებენ დამატებითი ახსნა-განმარტებების მიწოდებას, დამატებით მასალებთან მუშაობას და ინდივიდუალურ მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს მათი აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების შეფასების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის, სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის წესით გამოცდების შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება. მაგალითად, მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლის მშობლისათვის მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება.

სკოლის მიერ მოსწავლისათვის, ადმინისტრაციული მხარდაჭერის კანონმდებლობით დადგენილ გონივრულ ვადებში უზრუნველყოფის პრაქტიკა, დადასტურდა როგორც მოსწავლეებთან, ისე მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე. ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლა რეალურად უწყობს ხელს მოსწავლის კანონით განსაზღვრული უფლებების განხორციელებას, მათ შორის მობილობის პროცედურების, სასკოლო გარემოში ადაპტაციისა და შესაბამის მხარდაჭერის უზრუნველყოფის, აკადემიური მხარდაჭერის კუთხით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი. კლუბს აქვს შემუშავებული წესდება და სამოქმედოგეგმა. კლუბის მუშაობას ხელმძღანელობს სკოლის წამყვანი მასწავლებელი, სამოქმედო გეგმის შედგენისას მასწავლებელი იყენებს მოსწავლეთა უკუკავშირს, რაც დაადასტურეს მოსწავლეებმა გასაუბრებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

.

5. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ვიზიტის პერიოდში სკოლამ, მკითხველთა კლუბის ხელმძღვანელმა, წარმოადგინა მის მიერ ჩატარებული გამოკითხის შედეგები, კითხვარი განკუთვნილი იყო მკითხველთა კლუბში გაერთიანებული მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის. აღნიშნული კითხვარის შედეგები მასწავლებელს მოსწავლეებისათვის საინტერესო და მათ საჭროებებს მორგებული სამოქმედო გეგმის შედგენაში ეხმარება.

აღნიშული პრაქტიკა დაადასტურეს მოსწავლეებმა და მშობლებმა გასაუბრებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მკითხველთა კლუბის წესდება;
- მკითველთა კლუბის სამოქმედო გეგმა;
- გამოკითხვის ფორმები;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- რემედიაციის დებულება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პროფესიულ სასწავლებლებთან. საბაზო საფეხურზე დამრიგებლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლეთა ვიზიტები რეგიონში მდებარე პროფესიულ კოლეჯებში, სადაც მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაეცნონ ამ სასწავლებლებში არსებულ პროფესიებს. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, სკოლის პრაქტიკა და ასევე აღნიშნეს, რომ ახალციხეში მდებარე კოლეჯში ვიზიტი მათი სურვილიდან გამომდინარე დაიგეგმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის პრაქტიკა, მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიაწოდოს განახლებული და სანდო ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სკოლამ ვერ დაადასტურა მტკიცებულებებით, თუმცა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლა რეალურად ახორციელებს ინფორმაციულ და საკონსულტაციო საქმიანობას ამ მიმართულებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინფორმირებულ გადაწყვეტილებებსა და კარიერული განვითარების გეგმების სწორად დაგეგმვას.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია მოახდინოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება, აღნიშნული საქმიანობის გაწერა კონკრეტულ მექანიზმებად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

დირექტორთან, დამრიგებელთან და მოსწავლეებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში, არ იყენებს რაიმე კონკრეტულ სტრუქტურირებულ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების შედეგების შეფასებას და მიზნობრივ გამოყენებას, თუმცა ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათ შეუძლიათ სკოლას სთხოვონ მათთვის საინტერესო კოლეჯების წარმომადგენლების ან ორგანიზაციების მოწვევა სკოლაში რაც მიუთითებს გარკვეული უკუკავშირის პრაქტიკის არსებობაზე.

სკოლას მიეცა რჩევა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გაწეროს კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეფასების შედეგების გამოყენებას დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმები
- სადამრიგებლო გეგმა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას გააჩნია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის დეტალურად ჩამოყალიბებული მექანიზმი სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია (დამტკიცებული დირექტორის 29/09/2025 წლის ბრძანებით N42). დოკუმენტი მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის ერთიან წესს, რომელიც ხორციელდება მულტიდისციპლინურ გუნდთან თანამშრომლობით. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებისა და მონიტორინგის, ისგ ჯგუფების შექმნის, მიზნების დასახვის, მშობლებთან კომუნიკაციისა და პროგრესის შეფასების

პროცედურები. დოკუმენტით სკოლა იღებს ვალდებულებას სსსმ მოსწავლეებისათვის უზრუნველყოს შესაბამისი ფიზიკური და საგანმანათლებლო გარემო, შეარჩიოს კვალიფიციური სპეციალისტები, რეგულარულად მიაწოდოს მშობლებს ინფორმაცია და დაიცვას მოსწავლის კონფიდენციალურობა. რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებულ, სისტემურ მხარდაჭერას. ვიზიტის დროს სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხებოდა.

სკოლას მიეცა რჩევა. გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებას ახდენს სსიპ - მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრი/ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი და არა მულტიდისციპლინური გუნდი შესაბამისად განაახლოს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა პედაგოგებს აქვთ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება და იციან როგორ უზრუნველყონ სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობით პრინციპებზე დაყრდნობით მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დამტკიცების შესახებ;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში, ამ ეტაპზე, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა დამატებით არასავალდებულო მომსახურებას არ ახორციელებს
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა დამატებით არასავალდებულო მომსახურებას არ ახორციელებს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამე
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი 17.12.2025 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოზასაძეი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ქცრეული